თბილისის არქიტექტურა

ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №7960405

ნომერი: AR11146346

თარიღი : 05.06.2026

გაცემის თარიღი : 12.06.2026

გაცნობის თარიღი : 15.06.2026

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა გაბაშვილი , N 1;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ოთარ წიკლაური პ/ნ 01008015462
- თბილისი ვ.გაბაშვილის ქ. N 1 ბ. 15

ნომენკლატურა :

- მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი
- IV კლასი
- ვადაგასული
- მშენებლობის ნებართვა

.სატიტულო ინფორმაცია.:

- .ფუნქციური დანიშნულების სახეობა.: მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი
- .მთავარი არქიტექტორის/სპეციალისტი სახელი და გვარი.: სალომე ხოფერია

.დამკვეთის ინფორმაცია.:

- .დამკვეთ(ებ)ის სახელი და გვარი.: ოთარ წიკლაური
- .დამკვეთ(ებ)ის პირადი ნომერი.: 01008015462

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის N14-39 დადგენილების თანახმად

გადაწყვეტილება

თქვენი 2026 წლის 5 ივნისის №AR11146346 განხცადების პასუხად, რომლითაც ითხოვთ ქ. თბილისში, გაბაშვილის ქ. №1-ში (ს/კ: №01.14.14.002.044) მდებარე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის რეკონსტრუქციის მშენებლობის ნებართვის ვადის გასვლის გამო, ახალი ნებართვის გაცემას, გაცნობებთ, რომ
სამსახურის 2018 წლის 2 ივლისის №4045197 ბრძანებით შეთანხმდა ქ. თბილისში, გაბაშვილის ქ. №1-ში (ს/კ: №01.14.14.002.044) მდებარე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის რეკონსტრუქციის (ლიფტის მიშენება) არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა.
ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილის (ვიცე-მერის) 2019 წლის 31 ოქტომბრის №1693 ბრძანებით დაკმაყოფილდა ნანა ხურციძის ადმინისტრაციული საჩივარი, ბათილად იქნა ცნობილი სამსახურის 2018 წლის 2 ივლისის №4045197 ბრძანება და სამსახურს დაევალა გარემოებათა გამოკვლევისა და შეფასების შემდეგ ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა.
ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილის (ვიცე მერი) 2019 წლის 31 ოქტომბრის №1693 ბრძანების აღსრულების ფარგლებში სამსახურის მიერ 2020 წლის 08 იანვრის №4815028 გადაწყვეტილებით დადგინდა ხარვეზი, რომლის გამოსასწორებლად დანტერესებულ პირს განესაზღვრა 15 (თხუთმეტი) სამუშაო დღის ვადა.
ვინაიდან, დადგენილ ვადაში ხარვეზი არ იქნა აღმოფხვრილი, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 83-ე მუხლის შესაბამისად, სამსხურის 2020 წლის 18 თებერვლის № 4865787 გადაწყვეტილებით, განცხადება დარჩა განუხილველი.
აღნიშნულიდან გამომდინარე, ვინაიდან, სამსახურის 2018 წლის 2 ივლისის №4045197 ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილის (ვიცე მერი) 2019 წლის 31 ოქტომბრის №1693 ბრძანებით ბათილად არის ცნობილი, სამსახური მოკლებულია თქვენი მოთხოვნის დაკმაყოფილების შესაძლებლობას.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.